

*ამოდის, ნათდება!*

# ჩემი საქართველო



№80, აპრილი, 2023

საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდერობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!



ღმერთმა დალოცოს საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ–მასწავლებლები. ტექნიკური პერსონალი. სტუდენტი–ახალგაზრდობა და მათი მშობლები.

## შეხვედრა კომპანია APL-ის ხელმძღვანელობასთან



ამ დღეებში საინტერესო და გულთბილი შეხვედრა წარიმართა ქ.რუსთავის აკადემიური ქალაქის რექტორატში, სტუდენტ-ახალგაზრდებსა და ევროპული საერთაშორისო კომპანია APL-ის ქართული მიმართულების ხელმძღვანელობასთან.

APL აბრევიატურა იშიფრება როგორც ანტიასაკობრივი პროდუქციის, დღეგრძელობის, სიცოცხლის გამახანგრძლივებელი ხაზი.

კომპანია ფლობს უნიკალურ, თანამედროვე, ერთადერთ ნანოტექლოგიას (Acumullit SA „akumulit“ SA – ძალის აკუმულაციის ტექნოლოგია) და აწარმოებს მაღალტექნოლოგიურ, უჯრედული კვების ნატურალურ, მცენარეულ პროდუქტებს, რომლებსაც ანალოგი არ აქვთ მსოფლიოში. მათ შექმნაზე იტალიელი მეცნიერები მუშაობდნენ 38 წელი.

APL კომპანია უშვებს პროდუქციას ჯანმრთელობისა და სილამაზისთვის, რომელიც მზადდება ხილის და მცენარეულ ექსტრაქტებზე დრაჟეს სახით; გამოყენება როგორც კონკრეტულ, ისე ზოგადი სახის პრობლემების გადასაწყვეტად (ალერგია, ფსორიაზი, დერმატიტი, ეგზემა, ონკოლოგია, შაქრიანი დიაბეტი, თმის ცვენა, სახსრების ანთება, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ჰეპატიტი, აუტიზმი, პარკინსონი, ნევროზი, აპათია, დეპრესია, ნერვული აშლილობა, პანიკური შეტევები, ინსულტი, ინფარქტი, ვირუსები, ბაქტერიული ინფექცია, სოკოვანი დაავადებები, პარაზიტები და ა.შ.)

კომპანიას ასევე აქვს გამაახალგაზრდავებელი კოსმეტიკა, ჰიგიენის საშუალებები, სასარგებლო მზა პროდუქტები – ფაფები, კისელები, ბატონჩიკები, ჩაი, ყავა, ელიტარული სუნამოები.

გერმანიის მოლეკულური ვირუსოლოგიის ინსტიტუტმა დაადგინა, რომ ცირცელი 97%-ით, ბროწეული 80%-ით და მწვანე ჩაი 89%-ით ანადგურებს ორგანიზმში კორონა ვირუსის გამომწვევებს. APL პროდუქტები კი, დიდი რაოდენობით შეიცავენ ამ კომპონნენტებს.

APL კომპანიას აქვს საკუთარი ქარხანა მოლდავეთში, ხოლო ნედლეულის მომწოდებელია მსოფლიოში ცნობილი „ბარა ჰერბსი“ ისრაელიდან.

APL კომპანიის პრეზიდენტი სეგეი კულიკოვი, 33 წლის ახალგაზრდაა, რომელმაც პირველი მილიონი 20 წლის ასაკში გამოიმუშავა.

APL კომპანია ოფიციალურად შემოვიდა საქართველოში თამარ ქავთარაძე-სოლდატენკოს და დიმიტრი სოლდატენკოს ხელმძღვანელობით, სწორედ მათი თაოსნობით და ექიმების: ხალიანა ჟღენტის, ციალა გოგუას, ჩვენი პოლონური სასწავლო ცენტრის მიმართულების ხელმძღვანელის ეთერ ჭიპაშვილის ჩართულობით გაიმართა აღნიშნული შეხვედრა, სადაც მასპინძელთა უამრავ შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს სტუმრებმა, გადაწყდა:
– თამარ ქარვთარაძე-სოლდატენკოს ხელმძღვანელობით, ქვემო ქართლის მრავალეთნიკური ახალგაზრდებისთვის, რუსთავის აკადემიურ ქალაქში, შეიქმნება ბედნიერების და კეთილდღეობის ახალგაზრდული კლუბი „13+“. საყურადღებოა, რომ თბილისში, იგივე პიროვნების ხელმძღვანელობით უკვე ფუნქციონირებს ანალოგიური კლუბი „50+“-ის სახელწოდებით.





# ღია კარის დღეები

მთელი კვირის განმავლობაში ყოველდღიურ რეჟიმში, უწყვეტად მიმდინარეობდა აკადემიურ ქალაქში შეხვედრები აბიტურიენტებთან, რუსთავის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობით, რომელსაც პროტოკოლით განსაზღვრული რეგლამენტით პირადად უძღვებოდა რექტორი, აკადემიკოსი გარი ჩაფიძე და პასუხობდა დამსწრე აუდიტორიის შეკითხვებს.

საქართველოს საპატრიარქოს, წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის, რუსთავის სასწავლო კორპუსის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა გენრიეტა აბესაძემ, იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის მოადგილე როზა გულისაბედაშვილმა, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ქეთევან ცისკარიშვილმა, საქართველო-პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ეთერ ჭიპაშვილმა და სხვებმა დაწვრილებით ისაუბრეს თავიანთი სამსახურეობრივი სფეროს შესახებ. მათ აბიტურიენტებს აკადემიური ქალაქის სტუდენტობისკენ მოუწოდეს.



განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქალაქ რუსთავის №12-ე (დირექტორი – მარინა ბულია); №22-ე (დირექტორი – ეკა ცხვედაძე); №11-ე (დირექტორი – გია შეყილაძე); №17-ე (დირექტორი – ნელი ლიქოკელი); №21-ე ((დირექტორი – ნინო გავაშელი); №23-ე (დირექტორი – მზია კიწმარიშვილი); №14-ე (დირექტორი – ნელი ლორია); №2-ე (დირექტორი – ლალი ნაზღაიძე); №8-ე (დირექტორი – ნინო ბეგაძე); №5-ე (დირექტორი – თამარ გოგაძე); №6-ე (დირექტორი – ნაიარა ქარუხნიშვილი); №7-ე (დირექტორი – ლია ჯღარკავა); №25-ე ქართული გიმნაზია (დირექტორი – მანანა გოგოლაძე); №26-ე (დირექტორი – ბესო მოსულიშვილი); №3-ე (დირექტორი – ბექა შათირიშვილი); №10-ე (დირექტორი – მანანა ფიროსმანიშვილი); №13-ე (დირექტორი – ლელა ქურდაძე); №1-ლი (დირექტორი – გულთამზე შკუბულიანი) №4-ე (დირექტორი – მამუკა ხამხაძე); №15-ე (დირექტორი – ბელა მარტიაშვილი); №20-ე (დირექტორი – მანანა ჯიმშელაძე); №16-ე (დირექტორი – ირინა მელქაძე); №25-ე (დირექტორი – თეა ტაბატაძე) საჯარო სკოლების კლასის ხელმძღვანელები, მოსწავლეთა და მშობელთა წარმომადგენლობა.

ღია კარის დღეები, რუსთავის აკადემიურ ქალაქში გრძელდება!










# ქართული ენის ქომაგი



საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ქ.რუსთავის სასწავლო ცენტრის, არაქართველ სტუდენტებთან ქართული ენის სწავლების მეთოდისტს, ნინო კაკიაშვილს 70 წელი შეუსრულდა, რომლის აღნიშვნაც განსაკუთრებული სიყვარულით გადაწყვიტეს მეგობრებმა, ახლობლებმა, კოლეგებმა... გარეთ თებერვლის სუსხის მიუხედავად, იმ დღეს საოცარი სითბო იგრძნობოდა რუსთავის აკადემიური ქალაქის „ჩაის სახლში“, რომელმაც იუბილარის მასპინძლობა ითავა, შეხვედრა მხატვრული შემოქმედების შედევრებით გაიხსნა და მიჰყავდა ინსტიტუტის რექტორს, აკადემიკოს გარი ჩაფიძეს, „ქართული ენის ქომაგი“, დიახ, ასეთი სტატუსით იცნობენ ნინო კაკიაშვილს ქვემო ქართლში, როგორც რეგიონის ქართული ენის პალატის ხელმძღვანელს, ის არა მარტო კარგი ფილოლოგი, არამედ შესანიშნავი ხელმძღვანელი მუშაკიც გახლდათ, როგორც რუსთავის მეთხუთმეტე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი. შეხვედრის ორგანიზატორმა ყურადღება გაამახვილა იუბილარის არაჩვეულებრივ ოჯახზე, მეუღლესა და შვილებზე, სიძესა და რძალზე, უსაყვარლეს შვილიშვილებზე... სიტყვით გამოსულებმა: – იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის მოადგილე როზა გულისაბედაშვილმა, საქართველო-პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ეთერი ჭიპაშვილმა, აკადემიური ქალაქის „საბავშვო ბაღი თვითმფრინავში“ ხელმძღვანელმა მაკა სამხარაძემ, საქართველოს პროფესიონალ ქალთა ასოციაციის „100 – ქართველი ქალი“ თავმჯდომარემ ნათელა ნატროშვილმა, საქართველოს საპატრიარქოს, წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რუსთავის აკადემური ქალაქის სასწავლო კორპუსის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა გენრიეტა აბესაძემ, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ქეთევნ ცისკარიშვილმა, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა ლია მარტაშვილმა, პედაგოგებმა: ზეინაბ ლამაზოშვილმა, ეკა პაპუნაშვილმა, ნინო ცუცქირიძემ, ზურაბ ქსოვრელმა, ნურანა ბაბაევამ, თინათინ ხაბურძაზიამ და სხვებმა აღნიშნეს ის თბილი, პატრიოტული დამოკიდებულება, რომელსაც ქალბატონი ნინო იჩენს კოლეგებისადმი, ამიტომაც უსურვეს მას დღეგრძელობა და ყოველივე კარგი.



# „დაუბერე გაზაფხულის ქარო...“

იყო სამაგალითო მოქალაქე, ერთგული მეუღლე, მზრუნველი დედა, მოსიყვარულე ბებია, მისაბაძი პედაგოგი და შემოქმედი ქალბატონი, – ცოტა როდია! ამ უსპეტაკესი ტიტულების ზიდვა, კრისტალივით სუფთა ადამიანის წილხვედრია მხოლოდ, გაზაფხულის შემობრძანებასთან ერთად მოევლინა ქვეყანას და „მე დავიბადე მარტის თვეს როცა, ხემ ყვავილობის დაიწყო ფიქრი...“ აცხადებს პოეტი და უხმობს გაზაფხულის ქარს:

***

– დაუბერე გაზაფხულის ქარო,
გადმობერტყე იმედების კალთა.
ყავავილები მომაგებე კარგო,
სიყვარული დამიბედე კვალავაც.

დაუბერე, გამოყარე ციდან,
თოვლი თეთრი ტყემლების და ნუშის.
გადმოყარე გამარჯვების ნიშნად,
იები, თვალთა ლურჯი შუქით.

დაუბერე მოაყოლე ღრუბლებს,
მოჟღურტულე ჩიტუნების გუნდი.
ზამთრის ბუზღუნს უკვე ველარ ვუძლებ,
მოჭიკჭიკე მერცხალს ვუხმობ გულით.

გამოპრანჭულს ვარდისფერი კაბით,
ალუბლის და ატმის ნორჩ ყვავილებს,
დავუჩოქებ და ვემთხვევი კრძალვით,
მზის სხივების მადლით მკერდგაშლილებს.

დაუბერე მადლიანო ქარო,
შენი სითბო გვიწილადე ყველას,
სიხარული მოგვაშველე კარგო,
ველარ ვუძლებ ნაღველსა და სევდას.

დიახ, ჩვეული ხალხმრავლობა იყო მარტის დასაწყისში რუსთავის აკადემიური ქალაქის „ჩაის სახლში“ სადაც გულწრფელად ულოცავდნენ კოლეგები შემოქმედებით-საიუბილეო საღამოს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის პედაგოგს თინათინ ხაბურზანიას, შეხვედრის ადრესატის მუხლჩაუხრელ შრომაზე ისაუბრეს: ქეთევან ცისკარიშვილმა, მაკა სამხარაძემ, ეკა პაპუნაშვილმა, ზურაბ ქსოვრელმა, მანანა ჩხაიძემ, როზა გულისაბედაშვილმა, ეთერ ჭიპაშვილმა, ნინო ცუცქირიძემ, ნურანა ბაბაევამ და სხვებმა.

...და იყო პოეზიის, ლექსის, რითმისა და შემოქმედების დღესასწაული აკადემიურ ქალაქში, თანხვედრილი გაზაფხულის შემობრძანებისა...

# ის ჩვენი კურსდამთავრებულია!



## გაიცანით ფარმაცევტული კომპანია „ფარმადეპოს“ მოწინავე თანამშრომელი, ჩვენი კურსდამთავრებული ხატია მაცივაძე

# მეგობარი

ამ რამოდენი დღის წინ, ბაირამობის დღესასწაულზე, მიწვევით, ერთი ჩემი აზერბაიჯანელი სამხედრო მეგობრის ოჯახში გახლდით, ოჯახის უფროსი, ბატონი როშად ნამაზოვი, სტუმართმოყვარე, მშრომელი და ზნეობრივად დიდებული ადამიანია, ჰოდა იმ მარტის თვის მიწურულს, მზის სხივმა, რომ უდიდესი ენერგია გამოიმეტა, გუშინდელი დღესავით გამახსენა ყველაფერი.

ავღანეთი, მაშინ საბჭოთა ინტერნაციონალი ჯარისკაცები, იმ შორეული ქვეყნიდან ვიცავდით აქ, ჩვენს ქვეყანას, მშობლებს, მეუღლეებს, შეყვარებულებს... ყოველ შემთხვევაში ასეთი პროპაგანდა იყო... უთანასწორო ბრძოლაში, ბევრი საბჭოთა ჯარისკაცი იღუპებოდა, არადა ერთურთს, ზურგით მიყრდნობილნი ვიცავდით, ასე იყო მაშინაც, როცა საომარი მოქმედებების დროს გავიცანი სერჟანტი ნამაზოვი, ვაჟკაცური შემართების ჯარისკაცი, რომელსაც ორი საბრძოლო მედალი უმშვენებდა მკერდს, იმ მკერდს, რომელიც მტრის ტყვიის სამიზნე გახლდათ და ჩემი ერთი ხელის აქნევით ჰაერში გავარდნილმა, ადრესატს ყურთან ჩაუარა... ჰო, ასეთი იყო „ავღანელ ჯარისკაცთა“ ცხოვრება, ჩვენ ხომ ყვლას, „ავღანელებს“ გვეძახდნენ...



მერე კრიალოსნებივით ჩამოიმარცვლნენ წლები, ბევრი ფასეულობა გადაფასდა, ბევრი რამ გაფერმკრთალდა და გაუფასურდა, მაგრამ ახალგაზდული წლები, მაინც სიამაყეა ჩვენთვის... ავადსახსენებელ ოთხმოცდაათიანებში გაოგნებულებმა ერთმანეთი დავკარგეთ, მერე გონს რომ მოვედით ერთურთის ძებნა დავიწყეთ და ასე წლებით დამძიმებულები შევხვდით ერთმანეთს, წლებით, რომელიც ჩვენი სიმდიდრეა... არაჩვეულებრივი ოჯახის თავკაცი, მოსიყვარულე მეუღლე, მზრუნველი მამა, მისაბაძი ბაბუა და სანიმუშო მოქალაქე... ასე ახასიათებდნენ ბოლნისის რაიონის სოფელ ფარიზის მცხოვრებნი „ავღანელ“ როშად ნამაზოვს – მიხარია!

**ქუთაისი**

# საინტერესო ლექციები



კიდევ ერთი საინტერესო ლექცია-სემინარის მსმენელი გახდნენ ჩვენი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.ქუთაისის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის (განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი მაყვალა ქობულაძე) სტუდენტები, ლექცია - თემაზე: – „ქუთაისში არსებული ძეგლები და მათი ისტორია“ – წაიკითხა სასწავლო ცენტრის პედაგოგმა, ქართული კულტურის ქომაგმა, უწმინდესის პრემიის ლაურეატმა, იაკობ გოგებაშვილის ოქროს მედალოსანმა ვაჟა ჯუღელმა, ლექციამ საყოველთაო მოლოდინს გადააჭარბა, აუდიტორიაში ისტორიული პარალელები და დეტალების გააზრების პროცესი საოცარ სტიმულს ჰმატებდა სტუდენტებს...

საინტერესო ლექციების კურსი, მომავალშიც გაგრძელდება! რომლის დასტურიც ამ დღეებში ვეტერინარიის სპეციალობის სტედენტებთან, ცნობილი ექიმი ვეტერინარის მზია თვალთვაძის მიერ ჩატარებული ღია ლექცია გახლდათ – „ცხოველების გადამდები დაავადებები“.

**თელავი**

# განახლებულ აუდიტორიებში

თელავში, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტს, ალაზნის გამზირის 71 ნომერში, თავისი, საკუთარი შენობა აქვს, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინ შევიდა ექსპლუატაციაში. ახლახანს შენობა-ნაგებობას გეგმიური სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა და მთლიანად ახალი ინვენტარით დაკომპლექტდა, ახლა ყველაზე საშური და მთავარი საქმე სასწავლო პროცესის სრულფასოვნებაა, რომ განახლებულ აუდიტორიებში სტუდენტთა ნაკადი არ წყდებოდეს!

## სამუშაო შეხვედრა დამსაქმებლებთან

მაღალ დონეზე და ჩვეული ორგანიზებულობით წარიმართა სამუშაო შეხვედრა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუთავის სასწავლო ცენტრის სტუდენტებსა და „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენლებს შორის, სტუდენტებისთვის აღნიშნული ბანკი უცხო არაა დასაქმების კუთხით, თუმცა „ლიბერთი ბანკის“ შიდა პოლიტიკისა და უამრავი სიახლეების გაცნობის შემდეგ, საინტერესო კოლეგიალური საუბარი ზედმიწევნით გულახდილი ფორმატით სამუშაო რეჟიმში გაგრძელდა, სტუდენტებმა მზაობა გამოთქვეს „ლიბერთი ბანკში“ დასაქმების და მოიწონეს მისი წარმომადგენლების ინიციატივა ახალი კადრებისათვის ღია კარის პოლიტიკის შესახებ.



## აკადემიური ქალაქის მოხუცთა სახლში

მოხუცებულობა სიამაყეა, თითოეული ადამიანის მიერ განვლილი ხანგრძლივი გზა, ჩვენი თვალთახედვის წიგნის თავფურცელია, ამიტომაცაა წლებით გამობრძმედილი უფროსი თაობა – კოლორიტი! დიახ, „კოლორიტი 1991“ – ასეთ სტატუსს ატარებს ჩვენი აკადემიური ქალაქის მოხუც პედადოგთა სახლი, თუმცა ვიზეც ახლა გვინდა მოგითხროთ, მარტო პედაგოგი კი არა, სცენის ჯადოქარიც იყო წლების წინ, მაშინ როდესაც მისი გამოჩენა საზოგადოებაში, აუდიტორიაში თუ სცენაზე აღფრთოვანებასთან იგივდებოდა! დიახ, კრიალოსნებად ჩამოიმარცვლა წლები და ახლა 82 წლის გულსუნდა ახობაძე ჩვენი აკადემიური ქალაქის მოხუცთა სახლის ბინადარია, რომელსაც ძველი შარმი და მისეული ესთეტიკა არასოდეს ტოვებს. უამრავი პედაგოგიური, სამეცნიერო თუ სახელოვნებო ჯილდოს მფლობელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ქალბატონი გულსუნდა, მხნედ შეხვდა თავის 82 წლის იუბილეს, რომელიც გაზაფხულის შემობრძანებასთან ერთად, პირადად მიულოცა აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ და წახალისების ბარათთან ერთად ფასიანი საჩუქრებიც გადასცა იუბილარს.



– დაბადების დღის ასეთი ორიგინალური მილოცვა ჩემთვის ყველაზე საინტერესო და ღირებულია! – აღნიშნა უიბილარმა ადრესატმა და დიდი მადლობა გადაუხადა მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს.

## ის ჩვენი კურსდამთავრებულია!



### გაიცანით სააფთიაქო ქსელის „იმპექსი“ მოწინავე თანამშრომელი, ჩვენი კურსდამთავრებული ანი ქაჩლიშვილი

## საინტერესოდ წარიმართა



საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრში, ბანკის ოპერატორის სპეციალობის სტუდენტებთან, სულ რაღაც ორი წლის წინ მოვიდა პედაგოგად, ცოტა ხანში ჯგუფის კურატორობაც ანდეს და დღეს ეკა პაპუნაშვილი, ჩვენი სასწავლო ცენტრის წამყვანი სპეციალისტია, იყო პედაგოგიკაში წამყვანი, მოწინავე და მისაბაძი, ეს ნიშნავს, რომ აქტიურად იდგე შენი ქვეყნის, ერის, სამშობლოს ერთგულების ეპიცენტრში და მუდმივად აკონტროლებდე მომავალი თაობის აღზრდისა და სწავლის მაჯისცემას, სწორედ ამიტომ, აქტიურ პედაგოგს დამსახურებულად აღუნიშნეს იუბილე კოლეგებმა: ზეინაბ ლამაზოშვილმა, ზურაბ ქსოვრელმა, თამარ იმერლიშვილმა, მაკა სამხარაძემ, გენრიეტა აბესაძემ, ეთერი ჭიპაშვილმა, ნურანა ბაბაევამ, ნინო ცუცქირიძემ, ნინო კაკიაშვილმა, ნაზიბროლა კაპანაძემ, ქეთევან ცისკარიშვილმა, თინათინ ხაბურზანიამ და სხვებმა, რომლებმაც პროფესიონალური წინსვლა და წარმატებები უსურვეს თავის საქმეზე და მომავალ თაობაზე უსაზღვროდ შეყვარებულ პედაგოგს, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ – მინდობილი საქმის უნარიანად შესრულებისთვის, პედაგოგ ეკა პაპუნაშვილს საპატიო სიგელი და ფასიანი საჩუქარი გადასცა... და იყო მუსიკა, ლექსი, რითმების ცვენა და იუმორი თებერვლის იმ დღეს, რუსთავის აკადემიური ქალაქის ჩაის სახლში, რომლის განახლებულმა დარბაზმაც უმასპინძლა ამ ღონისძიების მესვეურთ, ღონისძიებისა რომელმაც ჭეშმარიტად დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში.



**ჭიათურა**

## პროფესიული სწავლების მხარდასაჭერად!

რამოდენიმე წელია, პროფესიული სწავლების მხარდაჭერისათვის მოწოდების სიმაღლეზე დგას საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. ჭიათურის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი (განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი – თამარ ჩხეიძე). ცენტრი მარტო მაღალი სასწავლო ხარისხით კი არა, სტუდენტთა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების ორდინალური კუთხითაც გამოირჩევა. აქ, პედაგოგთა, სტუდენტთა და მშობელთა ჩართულობით შექმნილი შთაბეჭდილებების წიგნი, პირდაპირი მიმართულება მომავლის საქმეთა კეთებისკენ...

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 27-99-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369